მოძებნე შენი გზა ლიტვაში: წარადგინე განაცხადი სტიპენდიის მისაღებად ვიტაუტას მაგნუს უნივერსიტეტი სასწავლო პროგრამებზე

MCMXXII
VYTAUTAS MAGNUS UNIVERSITY

ვიტაუტას მაგნუს უნივერსიტეტი იწვევს ნიჭიერ, ჭკვიან და ამბიციურ ახალგაზრდებს, რომელებსაც სურთ გახდნენ მსოფლიოს ნამდვილი მოქალაქეები, ისწავლონ ლიტვაში!

გსურს სწავლა მრავალკულტურულ გარემოში, ერთი ან რამდენიმე უცხო ენის დამატებით სწავლა, დამატებით სასწავლო პროგრამის არჩევა, ევროპული განათლების მიღება, სწავლის ნაწილის სხვა ქვეყანაში გატარება? ამოირჩიე ერთერთი 11/21 ჰუმანიტარული, სოციალური, ხელოვნების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საბაკალავრო ან სამაგისტრო სასწავლო პროგრამა, რომელიც ვიტაუტას მაგნუს უნივერსიტეტში ისწავლება ინგლისურ ენაზე. თუ შენ გაქვს სურვილი და მოტივაცია - უნივერსიტეტი შეგიქმნის შესაძლებლობებს დამატებით დაამთავრო სხვა მიმართულების დამატებითი სასწავლო პროგრამა ან ისწავლო მსოფლიოს 30 ენიდან ერთერთი.

საუკეთესო საშუალო განათლების ან ბაკალავრის სასწავლო პროგრამის რეზულტატების მქონე, ინგლისური ენის მცოდნე აბიტურიენტებს ან კურსდამთავრებულებს საქართველოდან ვიტაუტას მაგნუს უნივერსიტეტი **გამოუყოფს სტიპენდიებს, რომლითაც სტუდენტები შეძლებენ დაფარონ სასწავლო პროგრამის ნაწილი ან მთლიანი სასწავლო პროგრამის გადასახადი.**

როგორ უნდა წარადგინო განაცხადი სტიპენდიის მისაღებად:

- წარადგინეთ განაცხადი ინტერნეტით ამორჩეულ საბაკალავრო ან სამაგისტრო სასწავლო პროგრამებზე, რომლებიც ისწავლება ინგლისურ ენაზე და დაელოდეთ ვიტაუტას დიდის უნივერსიტეტის თანხმობას სასწავლო პროგრამაზე მიღების შესახებ;
- გადმოიწერეთ და შეავსეთ სტიპენდიის განაცხადის ფორმა, დაწერეთ სამოტივაციო წერილი და სხვა საბუთებთან ერთად გამოაგზავნეთ ელ-ფოსტაზე: studies@vdu.lt

განცხადების წარდგენის ვადა: 10 ივნისი, 2018 წელი

ნუ მოგერიდებათ მოგვმართოთ და გაიგოთ მეტი:

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი
ვიტაუტას დიდის უნივერსიტეტი
ინტერნეტ გვერდი: www.vdu.lt/en
ელ-ფოსტა: studies@vdu.lt
Facebook: VMU International
ტელ.: +370 37 327 986

> ჩვენ გვაქვს მრავალი შეთავაზება ცნობისმოყვარე სტუდენტებისთვის მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან. არ გაუშვა შესაძლებლობა ჩამოხვიდე და იხილო თავად!

კულტურული და აკადემიური პროფესიონალიზმის სინთეზი

სწავლა ვიტაუტას მაგნუს უნივერსიტეტში

MCMXXII
VYTAUTAS MAGNUS UNIVERSITY

ვიტაუტას მაგნუს უნივერსიტეტი არის ერთერთი ყველაზე ლიბერალური თანამედროვე აკადემიური საჯარო დაწესებულება ლიტვაში. 2018 წელს QS მსოფლიო უნივერსიტეტების რეიტინგში ვიტაუტას დიდის უნივერსიტეტი აღიარებულ იქნა ქვეყნის ლიდერად საერთაშორისო სფეროში. უნივერსიტეტი არა მარტო ზრუნავს ღრმად გამჯდარ ტრადიციებზე, არამედ არის ლიტვაში, ბალტიის რეგიონში, ევროპის და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში აღიარებული ინსტიტუცია, რომელიც ზრდის ინტელექტუალ და ინტერკულტურულ ახლაგაზრდა თაობას.

ფაქტები და ციფრები

10 ფაკულტეტი	ეკონომიკის და მართვის | პოლიტიკური მეცნიერებების და დიპლომატიის | ხელოვნების | ჰუმანიტარული მეცნიერებების | სოციალური მეცნიერებების | საბუნებისმეტყველო მეცნიერებების | ინფორმატიკის | სამართლის | კათოლიკეების თეოლოგიის | მუსიკის კადემია
>7 000 სტუდენტი	7% საერთაშორისო სტუდენტი 50-ზე მეტი ქვეყნიდან
>30	საბაკალაბრო და სამაგისტრო პროგრამა ისწავლება ინგლისურ ენაზე
30	უცხო ენები, რომლებიდანაც უმეტეს შემთხვევაში ლექტორები ასწავლიან მშობლიურ ენას

საცხოვრებელი

ადგილი უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში გარანტირებულია ყველა პირველკურსელის სტატუსის მქონე სტუდენტისთვის. საცხოვრებლის ფასი საერთო საცხოვრებელში 60-150 ევრო/თვეში.

ცხოვრების ხარჯები

კაუნასში მოსწავლე სტუდენტები თვეში ხარჯავენ დაახლოებით 350-800 ევროს. ეს ხარჯები მოიცავს: საერთო საცხოვრებლის/ბინის ქირას - 60-200 ევრო; საკვებს - 150-250 ევრო; სწავლისთვის საჭირო ნივთებს - 10-50 ევრო; გართობას - 100-300 ევრო.

გაცვლითი სასწავლო პროგრამები

ბაკალავრის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში (ორმხრივი გაცვლითი, ერასმუს+) და გაემგზავრონ საზღვარგარეთ ნაწილობრივი სასწავლო პროგრამით, ასევე გაიარონ სტაჟირება და მიიღონ ყოველთვიური სტიპენდია 300-დან 700 ევრომდე.

მენტორების პროგრამა

ვიტაუტას დიდის უნივერსიტეტის მენტორები ჩამოსვლამდე უკავშირდებიან საერთაშორისო სტუდენტებს, მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ეხმარებიან მათ ორიენტირება მოახდინონ უნივერსიტეტსა და კაუნასში, გადაწყვიტონ ყოველდღიური ცხოვრებისეული საკითხები, შეიძინონ ახალი მეგობრები.